# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-606

ქ. თბილისი

05/05/2021

**ქ. ბათუმში, შპს „ერ ტრანსის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ღორღი) გადამუშავებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ქ. ბათუმში, შპს „ერ ტრანსის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ღორღი) გადამუშავებაზე სკოპინგის დასკვნა N20 (22.04.2021);
2. შპს „ერ ტრანსი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N20 (22.04.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ერ ტრანსს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ერ ტრანსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

**ლევან დავითაშვილი**

**მინისტრი**